


საქართველო



სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გეგმით. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 17.

აპრილის 25, 1893 წ.

№ 17.

შინაისი — ნ. ბარათაშვილი, (ლექსი) დღეუტ მეგრელისა. — ნიკოლოზ ბარათაშვილი პავლე ყიფიანისა. — ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავს, (ლექსი) ნინო ორბელიანისა. — მატჩანე. — ნ. ბარათაშვილის ნაშთის გადმოსვენების გამო, (ლექსი) ი. ივანოვისა. — იმერეთის თანაგრძნობა დამშუულ კახელთათვის, — გამოცანები (ლექსი) აკაკისა. — ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა (წერილი მეორე) გ. წერეთლისა. — დიდუბის ტაძარი, XX-ლისა. — ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა. (წერილი მეორე) ხომალტისა. — ასსუბა ბ-ნს სვიმონ ნიკოლოზის ძეს წერეთელს, თ. კორდანიასი.

ნ ბარათაშვილს

(მისი ნაზის გადმოსვენების გამო)

ოფისაც კი, თის აწყოთი გამწარებული,
 იკლავდა წარსულს, გულ-დამწვარი, შეწუხებული
 და, ვით ცხრის ფარ უმაცრონად დატოკებული,
 ეხებოდა კედელს და ღრესა, გის-დაძსეული;
 მამულისა შეღნი-ვი „ლოთობოანეტივი ჩვენსა“,
 გაიძხოდა, „მოგუეცო დღეს ბუბა ღსენსა“,
 და არ ქსალეობდენ არც სამშობლს აოსრებულს,
 არც ერს მწესრეს, ცხრის ცრემლი ატირებულს,
 მამის გასმს შენი მწარე კანესა, მგონო,
 სულთი უმანოკე გულთი წრთელო, ზარასნო;
 გასმს შენი სკადახი ოხურა, ჩივლი,
 გრძობითი ალვისილი, ხალღიანი მოთქმა, ირილი!

შენ დასტიროდი ცხოვრებას ფუჭსა,
 ამაოებას წუთის სიფლისა,
 სუძმულს, მოკლებულს სამშობლოს გულას
 და მარტობას სულას ობლისა!

*

შენ დასტიროდი ვეკლა ამით და ბეგრს სხვასაცა,
 მაგრამ ურე იყო აქ ქვეყნის და იქ — მადლა ცა,
 და შენ, ობოლი ობლად მოჭკედი უცხო მსარეში,
 და შენივე კანეს ჩაგვეა მსოფლოდ ცაცს სამარეში!
 შენ მოჭკედი, მაგრამ იგზა-უვალი, შენგან თელიდი,
 სსუქილი შეილო მსაცანრად არის შთენილი:
 და, ქს! დადგა დრო, საამო დრო, როცა ქართველს
 ესმის ტანუქლის შენის სულას ოხურა და კანეს;
 როცა ჭფიხლადება და მოძრობს შენი სამშობლო,
 უსრუქელობას ძეკლებურს ეღება ბოლო,
 და მიული გრი გაუმსკვლავს დღეს გრძობას ერთის,
 და მთისწრაივის, თაყვანისცეს შენს ძიროფსს ნაშთის.
 და დაგამეიდროს სიყვარულს შენს მამულში,
 რომ მარად მასთან იქნებ ჭირში და სისარულში;

შენ დასტიროდი ბედსა ქართლისას,
 გულ-გატყსადის შეფის სიყულის;
 შენ დასტიროდი ტამარს წმინდას,
 უდაბნოდ მდგარსა, გაუქმებულს;

ვათარც სულთ გვერ ხორცილთ მას შეუწოდებდნენ და, მასთან მყოფა, მის ტკივილებს უსაღბურებდნენ!

*

და მეც, საერთო მისწრაფებითა
გატანებულდი, ვიდრე კალამისა
და, გამსჭვალული წინადა გრძობათა,
ერის დიდებუკ, გიძღვნი საღამისა,
და კვედრი ზეგას, რომ საქართველოს
გველა აკვარდოს შეგნებ მგოსანნი,
ნიკით აღსვსკ, ვანიებით სრულდი,
სულთ უმსკო, პეტროსანსა!...

ლუბუ მეგრული

ნიკოლოზ ბარათაშვილი



დაღა დღე, და ეს დღე იყო დღე ბნელი, დღე მწუხარე, დღე მგლოვიარე. ერმა დაკარგა ის, რაც იყო მისი დიდება, მისი შეწენება და სალოცაო: რასაც ის საუკუნოებით თავს ევლებოდა; დაკარგა ის ძვირფასი მარკალიტი ცხოვრებისა, რომლისთვის სიცილილი ბადებს სიცოცხლეს ერისას და უცედავად ჰქმნის ადამიანსა... საქართველომ თავი მოუხარა ბედის-წერასა. ჯერ მის მარჯვენას მტრის სისხლი არ შეშრობოდა, რომ მან დანიანა უცხო სურათი თავის სამშობლოში და მის გულიდან ამოვარდნილმა გლოვის ოხერამ საყვარელს მამულს თვის მწარე ბედი მიუსამძიპრა.

მაგრამ არა; ბრძოლით ღონე მიხდილი, მხოლოდ მისუსტებული იყო მკლავი ქართველისა, და მის გულს მონებას ეგრეთწი წარმოათქმევინებდა. არა ვარ მონა! შესძახა მან ერთხელ კიდვე; სისხლით მოურწყო უკანასკნელად სამშობლოს გული და შემდეგ... შემდეგ მღელვარე გულით, მწარე ცრემლით ის დაემონა — არა მტერს, არა! მას სწამდა სიმტკიცე ფიცისა და დაენდო აღთქმას ძმობისას.

ამით შესწყდა ხმა ნალარისა, ხმა ის ბრძოლისა, რომელიც მხალს ამხნევებდა და მიჯნურს სულს უშფოთებდა, შესწყდა ის ხმა, რომელიც ყოველს ქართველს გულს უტეხებდა სიამის ცრემლით, ღვინით და სიამაყით. შესწყდა ეს ხმა და მასთან ერთად თითქმის შესწყდა ცხოვრებაც ქართველის ერისა.

გლოვის ზარით ქართველმა ერმა ფეხი გადასაღდა მე-XIX საუკუნეში.

ბურუსით მოკულს ამ საუკუნის დასაწყისს თუ დაუტყვია რამე კვალი ქართულს ცხოვრებისა, თუ აზის მას რამე ბეჭედი ეროვნულის ცხოვრებისა, ყოველ შემთხვევაში მით ეერ იამაყებს ქართველი კა-

ცი. ის წოდება, რომელიც იყო მოწინავე ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც იყო სიამაყე ქართველი კაცისა, ეს წოდება უმკზავს ჩრდილსავეთ დაპარბაცებს მთელს ნახევარს საუკუნის განმავლობაში. ცხოვრების საგანს მოკლებული, სულით დაცემული, ხორც-მოშეგებული, თითქმის გრძობს თავის სულის სიმდაბლეს, დაეარდნილობას, ზურნა დაფის ხმით, ქვიფ-ლოთობით ცდილობს დაუბზოს კარი იმ ხმას გულისას, რომელიც განუწყვეტლად ამოსახბოდა: სინიდილი—მოვალეობა! და იმ დროს, როდესაც ერთი მხრით ეწმით დამთერალი, მფიცავს სიცოცხლეს არზიყ ქალის წინ, როდესაც დარბაისლობას, თავ მოყვარეობას მოკლებული ავებს და ჰყიდის მამა-პაპის შეძენილს მამულს, სიმდიდრეს, რომ მოიკლას ნებათა წყურვილი; მეორე მხრით, გვერდზე მიმდინარეობს ჩვენთვის უცნობი, ჩუმი, გულ-ჩათუთქული ცხოვრება ნამდვილ ქართველთა ხალხისა.

და ვის, ვის, თუ არა თვით ღვთაებისგან ჩაგონებულს, ვის შეველო მიმხედარიყო, მის გულის თქმას მის სულის მოვლევარებას?

დიად, ის მზე სამშობლოსისა, რომელსაც ბევრი ჩრდილოეთისკენ გაურბოდა, არ დაბნელდა და ისევე ათბობდა იმ ხალხს, რომლის გულში იზრდებოდა და სწოვდა მათ ვარაშ-მეფებს სახელოვანი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

შესეა მან ფილად ტანჯვისა, რომელიც ერმა მიაწოდა და მასუკან — რა სცნა მან წუთისოფელი, ხმა საკვირველი, ხმა ნაღვლიანი, ხმა იღუმალი სღენიდა ყოველ მის ზრახვას და საწაიდეს. ის ცდილობს მიუხედეს ამ ხმას, რომელიც ფით არის, რომელიც არის კენესა ხალხისა. ღრისიანად გამორჩეულს დასხზავის მუღმივე ეს ერთიკენესა: — ეძიე ყრპაო შენ ხედერი შენი. და სად არს ეს ხედერი თვისი? ვის მიმართოს, ვის შეგარაღოს თავი, ვის გულს დაეყრდნოს, ვის მიუთხრა ეს კენესა, რომ მისი სიცოცხლით, მისი მწვეგი ამით აღსდგეს ისევე ძველი ქართველის მას არიენ სცნობს; ის არის მარტო, უცნობი, სულით ობლი ქმნილება. და რა ძნელია სულის ობლობა! ეგობართა, ნათესავთა მოკლებული გული სანაჯლოს ისევე მალე ჰპოვებს, მაგრამ დაობლებულის უღლის შეება არის მარტო ოხერა უბედურისა. ეს აღარა აქვს ნდობა ამა სოფლისა, ეწინია, იკვალვის, აღარ იცის ვის აუწყოს დაფარული გზობანი და გამწარებულს მუღმივე ახსოვს სწორის დაკარგვა.

ჰქმნას პოეტმა დაობლებულმა? ვის ანდოს დიდობნათა გულის მღელვარება, ვის გაუზიანეთისი სულის შფოთვა!...

აგერ დიდი მთა? ის მალილიდან ხალხს დასცქერის. ეს მთა წმინდაც არის და მუდმივ ჩუმი, არც დღეს გასტყვის თავის სიჩუმეს, როს წმინდა გულის თქმას ის გაიგონებს. აი, ამ ალაგისკენ მიისწრაფის მწუხარე და სველიანი პოეტი. პოეტსაფით ცხოველი ხან მცირარე, ხან კრემლიანი ის მისცემს მას თვისა ვიჭრთ შევბას. მთაო ღრუბლიანო! შენ ხარ გულდახურულითა მეგობარი. აქ შენს ქედზე მდგარი პოეტი, მზურვალე ლოცვით მოქანცული, უახლოვდება ცას სამშობლოსას, რომელზედაც მოთავარეს, ვით სულის უქანკოს, მისდევს ვით მიჯნური მარტო იმის ვარსკვლავი. მჭერეტელს ავიწყდება საწურთროება. იქ ციხეს სადგურს მისი გულისთქმა, მაგრამ ამაოდ გლახ-მომაკვდავი ვერ სცნობს ციურს განგებას. შეენიერება ზბიბლავს პოეტსა, დაფარულს გულს უხსნის და გრილი ნიათიც მის ვახურებულს შუბლს სტაკებს მწვავ ვიჭრებს, რომ შეუერთოს შეენიერებას. აი, აქ მთაწმინდაზე აღმუთავებული სული ობოლი აძლევს შევბას თავის არავებს, ავიწყებს წუთით ამ ვარამს, რომელსაც მტკერის პირზე ნათლად გამოსთქვამს ამაოება ჩვენის ცხოვრებისა. მაგრამ ნუ თუ სიყვარულით საეცე გული პოეტისა, რომელსაც ხმა იღუმალი მუდმივ თან დასდევს, უნდა დემგზავსოს ცოცხალი მკვდარსა, იყოს სოფელში და სოფელს ვი არა რა არავს? არა, ის არის შეილი სოფლისა და ესმის ხმა მშობლისა, მას ესმის ის ხმა კეწმისა, ობვირისა, ამოსკენისა, რომლის სულს აფიქრებს წარსულთა დროთა მოგანება და რომელსაც ნათლად გამოსთქვამს უტყუარი ხმა ჩონგურისა: „ჰოა, ჩონგურო, ნეტავი ოდეს ხმა მხარული შენგან მსმენოდეს და ვინ იხილოს შენი ღობილი? და ამ ჩონგურსაფით უტყუარი ხმა პოეტისა გამოსთქვამს თავის გულის ტკივილს— „ბედასა ქართლისას“. ვისაც ერთხელ მაინც ვადუკითხავს „ბედი ქართლისა“, ის ვერ ამოფხვრის გულიდან იმ კვალს ცრემლისას, რომელიც მის გულს ღრმად ვაეცლებდა. თითქოს ყოველ სიტყვაში, ამ მკვდარ ასობეში, ჩაქსავილია მაღალი გრძნობა სველიანის გულ-დამწვარის პოეტისა ღრა ამოიკითხავს მას ადამიანი, თითქოს ისინი, შემკრთალნი თვალის სინათლით, ხმას იღებენ, სტირიან, ჰქენსიან ღ ბანს აძლევენ ჩონგურის ხმას, ხმას სველიანსა. დიდი გული პოეტისა, სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული, ოჰ, რა ძლიერი ცეცხლით იწითება, როცა მოგვითხრობს ქართველთა ბიძოლას, რა რიგ აღტაცებით, გულის სიამით აღწერს სანატრელ გმირებს, რომელთაც „რა ნახეს, გაქირდა საქე, მყის ჩაიციეს ქედები თურმე, ხმალს ხელი იკრეს მამა-აპაურად და დაერივნენ

თავისებურად“. მაგრამ დღეს აღარ არიან ეს გმირები, აღარ გვეყვს გმირნი, რომელნიც ეტყვიან — რას არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლებდა თავისუფლება; აღარც ნაზი ბუღბუღი სწუხს გალიაში დატყვევებას.

ნუ თუ ამის მოწამე ქართველი გული პოეტისა მოითმენს, რომ არ შესძაბოს იმ გმირთ, რომელთაც მამულისათვის თავი გასწირეს:

ჭეი, გმირნო, ნუ შეშოთადებთი, თქვენ სასსოკარი გაქვთ თვით განგებით, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დახსნებდას, საშეილა-შეილადა გადაიცემის; ქართლიც თქვენს სასხელს კერ დაიდუმებს, აღაძგბადანს ვიდრე ხსენებს.

სახელოვანო პოეტო! შენს გულის სიღრმეს ვერ ვაზომავს ადამიანი, ისე როგორც ვერ ვაზომება ქირი და გლოვა ხალხისა, რომლის სადიდებლად მოგველინა შენ თვით განგებამ. ვერ გამოსთქვამს გული კენესას ხალხისას, რომლის ცეცხლითა აღწეული შენ ჰქვთ და ანათებ მომავალთათვის ახალ გზას. შენსა სუმბულსა, სველით მოსილსა უღროოდ აჭნობს ხელი უწყალო და სტირის დაკარგვას თვის მესაუბრისას, რომელი ჰქენდა მის მწუხარებას.

შენ მოზირად წუთი-სოფელსა, დიდებულთა ადამიანთა, მაგრამ შენი ტუბილი ხმა, ვე შენი ცრემლი საქართველოს თავს დასტრიალებს; ის ასულიდგმულეს და მას შეხზარის შენი სუმბული. და დღეს, როცა შენი სამშობლო დავიბს შენს ნაშთსა, უცხოვრად დებულსა, როს საქართველო გულ-ამღერეული, მუხლ-მოდრეკით თავიანს სცემს შენს სახელსა, როს სამშობლო მიწამ გული ვავიხსნა, რომ მიგზიბაროს მშობლიურთა, ღღეს-ღღეს ვადასწყდა სანატრელად ბედი ქართლისა.

სავლე ყიფიანი



ნიკალოზ ბარბაქაძის საფლავს



ვაკანსაცემით გეგებებით პოეტის ფერფლად, ვი ვარსტირით აღფრთოვანდა დღეს საქართველო, რომ დაგარგული დაქს ამაოჲ პიროფსი ნაშთი და აქ შობილი, აქ აღზრდილი, აქ ჩვენთან დაშობი. დაუიწყარი განცხოკუდად შენი სახელი; დაქს თაღაწინ გეადგას შენი დაქწლი, შენი საქმენი. ის გეპატრეე, რისიც ოუკ დღეკდას მომთმენი ჩვენ ის არ ძალგუადის, რომ განსოთქვათ, რაც გუქქს სათქმელი! სამშობლოს მიწა გულს ჩავაგრანს მამულისა შეილას, ტუბილად მიგაღებს, მიგითვისებს მისგან აღზრდადღეს. ნჯარსა დაფიქრებს შენს საფლავს ჰქარი თიბილი და მუქარობით განსეგრძობა ეკ ტუბილი ძილი.

ნიწო ორბელიანისა.

მ ა ტ ი ა ნ ე



ფილისი ძვირად ყოფილა ასე გაცოცხლებული. ბევრმა საერო საქმეებმა მოიყარეს თავი ერთად. ამ ყაბად თვითონ ქალაქი ეშხადღეს დიდის ამბით ახალი ხმოსნების ამორჩევას. ამის გულისათვის სხვა-და-სხვაგან იკრებიებიან თუ აწინდელნი წარმომადგენელნი ქალაქის საბჭოსი, თუ წარმომადგენელნი მწერლობისა. ყოველს მხარეს ჰსურს თავისი სია ახალის კანდიდატობისა ხელში დააჭერინოს ამომრჩეველებს, რომ მათ და მხოლოდ მათ კანდიდატებს მისცენ თეთრი, სხვებს შავი. სასახლის ქუჩის სასტუმროში ქალაქის მმოსანთა კრებულმა კიდევ დასტამბა სახელები თავიანთ კანდიდატებისა. მეორე მხრით მწერლობის წარმომადგენელნი, როგორც შევიტყუთ, ჯერ ევრ შეთანხმდენ ერთმანეთში უფრო იმის გამო, რომ აქ აღმოჩნდა რაღაც გულ-უწრფელობა. ისინი იკრიბებიან „კავკასის“ სასტუმროს ნომრებში. უცხო მწერლობის წარმომადგენელთა თითქოს რაღაც მედიდურობით გადმოჰხედეს ადგილობრივ მწერლობას და არაფრად მიიჩნიეს მათი წმინდა რწმენა და სამართლიანი წინადადება.



დიდი მითქმა-მოთქმა გამოაჩნია ქალაქის საკრედიტო ბანკის მოხელეთა სამართალში მიცემამ. ვინ იფიქრებდა, რომ ნაპოლეონ ამატუნეს, ეს ყოველად მძლავრი გამგებელი ქალაქის საკრედიტო ბანკისა, რომელსაც ყველანი წარბში შესცქეროდნენ, მისი ჭკუა სწამდათ, მოხერხებაში ბადელი არ ჰყავდა, რომელმაც ვანაძევა ბანკიდან პირა-მთქმელი კაცები თ. კ. ბებუთაშვილი და ხაზინადარი ტიგრანიაწი, და რომელსაც ამ ექვსის თვის წინად ათის წლის მოღვაწეობისათვის ექვსი ათასი მანეთი ჯილდოთ დაუნიშნეს, დღეს გამოდგა ბოროტ-მოძქმელი და პოლიტიკის მხედველობას ქვეშ დატყვევებული.

თურმე ნუ იტყვით; მისი რიხი და ჭკუა უმართებულო მოქმედებაში ჩნდებოდა, თურმე მის ჭკუიანობას მის კალთას-შვეშ შეფარებული ქურდები ლაღდებდნენ. დღეს სასტიკი გამოძიება მანედ დანიშნული. დღეს ყველას უკვირს, ნეტავი რა ქველმოქმედებით მოიპოვა ამ ჯცამა ასეთი დიდი ნიჭიერებისა და ჭკუის სახელილო?... სხვითი არაფრით, ვარდა ოკიათასი მანეთის კუბონების გაფულანგეთა და, იქნება, სხვა ფულების შეკმითაც. ღმერთო ჩემო, რა ადვილი ყოფილა ჩვენ დროში გმირის სახელის მოხვევა. მაგრამ ჩვენდა სასურველად ესეც კია, რომ დიდხანს კი ვერ რჩებიან სახსონ ძლიერის სა-

მოსელში. როგორც ადვილად ადიან ბრწყინვალე ტახტზედ, ისე ადვილადვე გადმოვარდებიან იქიდან და თავ-პირის იმტერევენ საზოგადო მოასპარეზენი, თუ რომ მათს მოქმედებას საზოგადო კეთილ-დღეობისათვის თავ-შეწირულობა და სულ-მადლობა არ უძეგეს დერტად და მათი გზა სინიდისის ლამპრით არ არის განათებული.



წრევანდელი საადგილ-მამული ბანკის ყრილობა სწორედ შესანიშნავია თავის სიტუაციით. დიდი ხანია, ასეთი არა მომხდარა რა. თავდა-აზნაურობა წინეთ იქნება მეტიც მოსულიყოს, იქნება მეტი ყვირილი და მეტი მიწვე-მოწვევა ყოფილიყოს; მაგრამ ასეთი გულ-მხურვალეობა საზოგადო საქმისათვის, ასეთი მოთმინება საზოგადო საქმეების შესახებ მსჯელობაში არ გამოუჩნია. საზოგადო კრება დიდი-ყურადღებით მოისმენს ხოლმე ყოველს მოხსენებას, უკვირდება სათავიფივე მოზასეთა და მკვერმეტყველთა აზრებს, ბოლოს კი რაღაც სჯობს, იმას არკვევს და ამ ვზიდან ვერავითარი ხერხიანობა და ოჩნები ვერ ვადახვევინებს, ვერ ვაამრუდებს საზოგადოების სამართლიანს გადაწყვეტილებას.

ყველაზედ სასურველი კიდევ ის არის, რომ ქართლ-კახეთის თავდა-აზნაურობას ეტყობა გამოფხიზლება, ძველებური სიმკიცრესი და საზოგადო საქმისათვის გულ-შემატყვიანობა. თითოეული სოფლის მებატონე, რომელიც კი მოსულა თავის ბანკის საქმეების სასამენად და გასაზრეკად, იძიებს საქმის ვითარებას შეგნებულად და გულ-დამშვიდებით, ეტყობა, რომ განიერად უკვირდება საქმესა. უწინ, რომ ხელის აქნევით, ან მეთათურების „ჰოს“ და „არას“ ძახილს აჰყვებოდნენ, დღეს ის აღარ არის. ვინც უნდა ილაპარაკოს და რაზედაც უნდა ილაპარაკოს, სიტყვას ვერავინ გააწყვეტინებს, პირში ვერავინ შეგერება, როგორც უწინ იყო ხოლმე. თვით ორატორებც უფრო სიფრთხილით იქცევიან და უწინ რომ ერთმანეთს უშვერი ოხუნჯობით და უმართებულოთ მოხსენებით შეურახსკოფდნენ, დღეს ამისთანას ცოას ვხედავთ და ეს გვიმტკიცებს აზრის მოწიფულებას და პოლიტიკურის ტაქტის გამოჩენას.



სახელოვანის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაშთის მოსვენებაზედ არა ნაკლები მოძრაობა და მზადება ქართველობაში. წერაკითხვის საზოგადოების გამგეობამ უკვე დანიშნა კომიტეტის წევრნი, რომელთაც უნდა იზრუნონ, წესი და რიგი მისცენ



ერის მიერ პატივისცემის გამოცხადებას. მრავალი გვირგვინება დაშადებული; სხვათა შორის ქალაქ ქუთაისიდან, განჯიდან, პეტერბურგის სტუდენტებიდან, ოდესის პროფესორებისა და სტუდენტებისაგან მოსკოვის, ვარშავის, კიევის და ხარკოვის სტუდენტობისაგან. მოვიყვანთ ზოგიერთ გვირგვინებზედ ზედწარწერას, მაგალითად პეტერბურგის სტუდენტების მიერ გამოგზავნილ გვირგვინზედ:

რუჲად სომ მანინ არ ჩაიღას ეკ განწირული სულის კკუთება ჳ გზა უკალი, შუგან თელადი, ჩვენდა სავალად მუჲამ დაჩნება.

ამასთანავე ისინი იწერებინან დებუთით: „გსწუხებათო, რომ ვერ ვეღირსეთ უკანასკნელად მიინც გვენახა ნაშთი ჩენის გენიოსის პოეტის ბარათაშვილისა.“

ოდესის პროფესორების და სტუდენტების გამოგზავნილს გვირგვინს აწერია:

თუთ უკადკება შუგანარს სულმა მდგამარებს; მის კერგ შუგანარს და კერგ სანი კერ დაბარებს.

ქუთაისის ქალაქის მიერ წარმოგზავნილს გვირგვინზედ:

ბუკრი დღეუ გუჲა, რომ უკერ ბუკრი კერ უსნათი ჩვენ მისა; თუითონ სიკუდილიაგ მას შუგანად აღმოკვიანისებს.

იმერეთის თავად-აზნაურობამ პატივი სცა ნიკ. ბარათაშვილის ნაშთს და გამოგზავნა დებუტაციათ. აკაცი წერეთლისა და დავით ბექრაძის თაოსნობით. მათ უნდა მიაართან იმერეთის თავდაზნაურობის მაგიერად გვირგვინი.

კერას ამ თვის 25-ს, ნაშთი პოეტისა უნდა მოასვენონ რკინის გზის სადგურზედ ჳ იქიდან პატივისცემით უნდა მიიტანონ დიდუბის ტაძარში. აქ იქნება წირვა გადახდილი გარკის ეიკარნის ყოელად სამღვდელის აღიქმანდრეს მიერ და იქნება სამი წყება ქართული ხორა-გალობა.

კარგია, რასაკვირველია, დიდებული პოეტის ძეღების სამშობლო მხარეში გადმოტანა და სამშობლო დედის გულში მისი ჩათბობა. საზოგადოების მიერ დიდი მადლობის ღირსნი არიან მისნი მონათესავე და გვარის კაცები, რომელთაც ითავეს ეს საქმე; მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვაწლი ისე დიდია სამშობლოსადმი, რომ მარტო ამ გვარეგან პატივისცემით დამკმაყოფილება ჩვენი მხრით დიდი უმადლოება და უყურადღებობა იქნებოდა პოეტისა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა აღამაღლა ქართლის ერის სახელი და გამოიყვანა იგი თავის ძლიერის ნიჭის ნაწარმოებით მსოფლიო ასარებსზედ; ამისგულისათვის ჩვენმა საზოგადოებამ და მთელმა საქართველოს ერმა თავის ქველმოქმედებით კიდევ უფრო

უნდა განაზრწინოს მისი უკედევების შარავანდელი: საქირია მოვებაროვით ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელზედ თანხა, რომლითაც თითო ღარიბი ნიჭიერი ქართველი მოწაფე ნიდაც იზრდებოდეს უმაღლეს სასწავლებელში; ამასთანავე მას უნდა აღეუგოთ ძველი, რომლის შეხრდებზედაც მუდამ გვაგონდებოდეს მისი დაუფიქარი სიტყვები:

„...ირავლიმ იღის, რომე ქართველებს არად მაინით უბედურება, თუ აქეთ თვის ჳერ-ქვემ თავისუფლება“...



ეს რამდენიმე თვეა ქუთაისის ქალაქის საქმეები და ქალაქის გამგეობა ისე აღარ მოხსენება, თუ მას არ აცვიტია მიქიაშვილის სახელიცა. ამ კაცს სამართლიანად შუქდლია სიტქვის, მე ვარ და ქუთაისიო. ისეთი სხდომა არ მოხდება, რომ ამ ახირებულმა კაცმა თავის საკუთარი საქმეები საზოგადო ქალაქის საქმეებს არ გადუხლოროს და ამით არ შებოროტოს საზოგადო საქმეთა წინსვლელობა. ეს კიდევ არაფერი; მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ მისი მაგალითი მის მგზავს ხმონსებს გადამდებ სენად ექცათ და ისინიც მიქიაშვილსავით ცდილობენ საკუთარი და პირადი სარგებლობის საქმეები საზოგადო საქმეებად გადაქნან და იძახონ ჩვენ ვართ და ქუთაისიო.

განსაკუთრებული მომხრენი და მოძმენი ბატ. მიქიაშვილისა ამ შემთხვევაში არიან მოსეს სჯულის აღმსარებელნი ხმონსები. ამათი მედიღურობა იმ ზომამდე მიდის, რომ სხვა რჯულის მცხოვრებლების კეთილ-მდგომარეობა ჩირადაც აღარ მიაჩნიათ. ყოველნაირი სავაჭრო მოცენები უსათუოდ მათ გვერდით უნდა იყონ, მხოლოდ მათი ტუჩები უნდა კეთილდებოდეს, მხოლოდ მათი სასაფლაო უნდა შეენიერდებოდეს, მხოლოდ მათი სამლოცველოები უნდა ჰუნდენ ყოველგან შუქს მადლიანობისას, მარტო მათი საქონელი უნდა სუქდეს, მარტო მათი ფურნეცე და თორბეები უნდა იყოს სუფთად შენახული. მხოლოდ ისინი უნდა სახლობდენ ჩოინის სათავეში, რომ მისი წმინდა წყალი მარტო მოსეს სჯულის აღმსარებელთა მსახურებდეს, ხოლო მათი ტუქვი და უწმინდურება, იმავ ჩოინისაგან წამოღებული, უნდა რწყავდეს და ასაზრდოებდეს მათ ქვემოდ მცხოვრებთა სხვა რჯულის ხალხსა. არას ქვეყნის კუთხეში უმაღლესი ღმერთი იეგოვა ისე გულ-მოწყალებ არ ყოფილა თავის აღრჩეულ ერისათვის, როგორც ქუთაისში, სადაც მართლაც მოწყალებ ღმერთსა მათზედ და

მხოლოდ მათზედ დაუბრტყია სიუხვის კალთა: მხოლოდ ქუთაისში ასრულებულა მოსეს წინასწარმეტყველობა: მოგვცე შენ აღთქმის კუთხე და ხელთა შენთა ყფა ფილისტიმელნი და მადიანელნი... მართლაც, საუკეთესო ძეგლი ნაშთი საქართველოსი მოწყალებე იგოვას მათ სამოსახლოდ გადუქცევი: დიდი ბაგრატის კუთვნილება მამული და მიწა-წყალი, რომელსაც დღეს მწევანე ყვავილის კუთხე ეწოდება, ებრავლთა საკუთრებად გაიხზარა. მამუ გასაკეთრია, რომ ებრაველ ხმოსნებს ქუთაისის კეთილ-მდგომარეობის საქმე მხოლოდ ებრაველების საქმედ მიანდეს ღ თათის აკარგვიანობას უმსხვერპლონ. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ დარბაისელი ხმოსანი მიქია-შვილიც მათ კეთილ-მდგომარეობის საქმეს გაუტაცნია.

ახსად არ გაგონილა, რომ ქალაქის ქუჩებში ბაზრობა და ვაჭრობა პატივსაცემი ყოფილიყო, ან გასასყიდი ტურტლები ბულვარის ფენქეზე (ტროტუარებზედ) ეწყონ. ამას გარდა ყოველ პარასკევობით და კვირამით დიდ-ძალი ხალხი იყრის თავს ქუთაისში გარემო ადგილებიდან. ქუთაისის ვაჭრობას მხოლოდ ამ ორის დღის მეოხებით უდგია სული. საუკეთესო ბულვარისა და ბაზრის ქუჩები გაქვილია ამდროს საეპიკრობით. ხშირად სიეწროის გამო ეტლები და ურბები გზას ევრ აუქცევენ ამ ალაგებს და უზედურება ჰხდება: ან ყმაწილს გასრესენ, ან ვისმე გაიტანენ. ამას გარდა, საეპიკრო მოედანი რომ არ არის, ბაზრის ქუჩებში საოცარი სიბინძურე, ტალახი და ცუდი სუნი დგას მუდამ; ასეთი სიბინძურე ხელს უწყობს სხვა-და-სხვა გადამებებს სენს.



ბუნების მდებარეობით და მათი ქუთაისის საუკეთესო ტანთიელი კუთხე უნდა ყოფილიყო მთიერს კავკასიაში; მაგრამ საეპიკრო მოედნების უქონლობის გამო და, საცა ბაზრობაა, იმ ალაგებზედ ეიწროობის გამო, ისეთი სიბინძურე გამდგარი, რომ ქუთაისში გამოუღვევილა მყიანა ხეცა, ყელჭირვება, წითელა, ყვავილი, ხურცება (ტიფი), სოფლე და ყვანა (მუცელა). წელს მყიანა ხეცამ და ყელჭირვებამ ქუთაისში ოთხასი ჩილი ყმაწიელი იმსხვერპლა. თუ ცალკე საეპიკრო მოედნები არ ვაიმართა, და ქუჩები არ გასუფთავდა, შეუძლებელია, რომ ქუთაისში სხვა-და-სხვა გადამებე ავადყოფობის ბუდე მოიშალოს. აი, ამისთვის ბერის ცდილობს ახალი ქალაქის თავი. იმან დანიშნა საბჭოს სხდომა გასულს კვირაში, რომ ქალაქს საეპიკრო მოედანი მოეპოვებინა. ბ. მიქიაშვილმა სხვა რომ ევლარა მოახერხა რა, რომ ეს საქმე ჩაეშალა, ასტეხა თავის საკუთარ

საჩივრებზედ ლაპარაკი. აღარ დასრულა, აღარ დაასრულა და აღარ... ქალაქის თავმა, რომ ევლარა დააწყნარა, მეტი ღონე არ ჰქონდა, საბჭოს სხდომა შესწყვიტა. ბ. მიქიაშვილსაც ეს უნდოდა, რადგან ებრაველებს არ ჰსურდათ იმათ კუთხიდან ბაზრის მოედანი სადმე სხეგან ვადატანილ იყო. წარმოუდგენელია, რა უწყსოვებას სჩადიან უმრავლესობა ქუთაისის ხმოსნებისა ამ შემთხვევაში. საბჭოში, ესრედ წოდებული, ინტელიგენცია ცოტა არის. ამისთვის მათი გონიერი მოსაზრება და ლაპარაკი რჩება ხშირად ხმად მლაღდებლისა უდამნოსა შინა. ერთი ორად და ერთი სამად უფრო ბევრია ისეთი ხმოსნები, რომელთაც არავითარი განათლება არ მიუღიათ; ამითში ზოგი ადამის წლის ნაჩინოენიკარიც ურევი, რომელიც ოდესმე ხელმწიფობის გამო გამოშტურა კანცელარიიდან და შემდეგ ვაჭრობასა და იჯარადრობაში ფული უშოენია. ასეთი სრულიად გათეთრებული და გადაყურებული ხმოსანი მხოლოდ პირადის საარგებლობის ძიებაში არის გაქსუებული და ქალაქის ყოველ საკეთილ-დღეო საქმეს წინ ელბობება, ვამეგობას ხელეფებს უკრავს მოქმედებისათვის. რატომ? იმისთვის, რომ საზოგადოდ ქალაქის საკეთილდღეო საქმე პირადდ მისთვის არ არის გამოსარჩენი და მოსახევე. მეტი რა ღონეა, ამისთანა მდგომარეობაში ქალაქის თავი უნდა ეცადოს ან ადმინისტრაციას მიმართოს, რომ მისი შემწეობით ალაგმოს ეს ქვეყნის მტერი, ან და საკუთარი არღან აიღოს ხელში, როგორც პეტრე დიდი შერებოდა გაუწყვეტულ კარისკაცების მოსათავად. ქალაქის თავს სხვა ღონე აღარა დარჩენიარა, რომ რაიმე ხეირიანი საქმე გააკეთოს. ახალმა ქალაქის გამგებამ ბევრი კარგი საქმე წამოაყენა: წყლის მიღებით გამოყენა, ცხენის რკინის გზის გამართვა, საურთიერო ო და ზღვევა სახლებისა, ქუჩების გაკეთება, არხების გაყენა უწყიდურების ჩასარცხად; მაგრამ რა?.. თუ საბჭო ხელს არ შეუწყობს, ქალაქის გამგეობის მოქმედება სწორედ კედელზედ თავის მტრევე გამოეა, სხვა არაფერი.

ნ. ბარათაშვილის ნაშთის გადმოსვენების გამო



მცხო მხარეში მიწად ქვეყნულს დიდებულს შენ გვამს, უცხოხი ზირნი ადგენბაქს აქამამდე თვალს; მაგრამ ახლად კი თვად-წინ გვექვსარ, შიშო პოეტო, და აქ ვასრულებთ, თუძცა გვანს, ეკვლად ჩვენსა კლეს.

აქა შობილხარ, აქა გავდილხარ, ავადგამს ესა, აქა გავიცვინა საუფარული მუნს ქვეყნისადმი;

ქ უნდა შეის გულს და შეის გრძობას და სიამართლეს ჭჭადკუბდი მუდამ ჩვენადმი.

მკრამ მუხთაღმა წუთი-სოფელმა გავტკოვანს შორს მშობელ ჭკუენას უდროა-დროით აწ მოვაშობო! ნიონ სიჭაბუკის აწ ჩაეპირო, მძია, ღამნარი და აწ დავისმო უდროოვით სიციცხლად ვარი.

გულში ჩაივალ ყოველად სწორეთ იმ დროს, როცა ჭკუენას და კინა თვალს ახალბედენ, აღარა სიტყვა-რა იმ ეპით და იმ სანატრულ დროს, როცავეს კაცის ნაღაწ-ნაშრომა უფრო სეკვადენ!

ცხოვრება იწუე ობლობაში, ობლად აღზრდილმა და დღენი შენი აწ განაღე სულ რწყელთა ღვრამა, აწ არ უტკუენ შეის გულს მამუდის შეიღმა ზირ მომცინარე სეტკე გულით ჩახველ სიფლავში..

ბედნიერ არის იგი კაცი, რომელი კაცინ თვისა სამშობლოს ჭკუენაში კარგად კვდება, სხადნ შეისხა სისხლა სორცა და კანად იქნ თვის წინაშეთან იმავე ადგილს მიწადვე ხდება.

ბედნიერ არის იგი კაცი, რომელი კაცინ სიკვდილს შემდეგ ისე არის დაუწყარა, როგორათნ შენ, საუკრეფლო მძია ზოეტო! შენი სახელი ამ ჭკუენად უკვდავი არი.

თუქც მიწა ხარ, მკრამ სხავს ჭყეს შეის სახელს „სულა ობოლი“, „მერანი“ ღ მსისანვე „ჩჩილი.“ ის ტკუენება... კაცი აუო და კანად მოკვდა ღ საწიროთა აწ გასიოგვით ბარათაშეილი.

ამით ეგონებთ შეის სახელს დიდი ზეტარს, მისთვის გადადებთ მიწად ტკუენულს დიდებულ შეის რეშის, სახარადისოდ, საუკუნოდ, სასისებულად, და აწ დავადგამთ შენ მარადის საგანებულ ძკვლს.

ი. ივანოვი.


ი მ მ რ თ ი ს თ ა ნ ა ზ რ ძ ნ ო ლ ა

და მ მ ე უ ლ კ ა ს ე ლ ო თ ო ვ ი ს



ახეთის შიმშილობა თან-და-თან გულს უწყავს იმერეთს. ყოველგან, საცა კი დასავლეთის საქართველოს კუთხებია, რაჟა-ზემოთი, გუ-რია-სამეგრელო და აზნაზეთი, ასე გაზინჯეთ, შორე-ული აქარა-ლივანად მოძრაობაში მოსულა. ყოვე-

ლგან ამბობენ, როგორ უნდა ეწმუელოთ კახეთის გაქირებულს ხალხს, როგორ მივაწვდინოთ ჩენნი მორჩენილი პურის-ლუქმა, რომ უკიდურეს მდგამა-რეობამდის მიღწეულს ღარბს ხალხს კიხიყ-კახეთისას, ცოტაც არის, მუეშსუბუქდეს დლიური საზრდოს მო-პოვება და ხის ქერქით, ან ბალახით არ იკვებებოდენ. თითო-ოროლა-მოზარდმა ჩენმა თობამ და განათლებულმა უცხოეთიდან უკე დაიწყო შესაწირავის გზენა, ფულის მოწოდება; მაგრამ რასაც ერთი და ორი მოხერხებული ადამიანი ფოსტის საშუალებით ადვილად ასრულებენ და მკირეოდენს წელიწადს აწვდენ თავის ღროზედ დამწულთა, ერთობით მთელი ხალხი ხომ ვერ იზამს ამას, თუ მეთაური კაცები არ გამოჩნდენ და არ უწინამძღვრენ ხალხის გულ-შემტკიცებობას. ამ შემთხვევაში ქ. ქუთაისი, როგორც შუაგული მთე-ლის დასავლეთის საქართველოსი, საცა რომ მართლაც კეთილ-შობილიური გული სცემს იმ ქვეყნისა, მიუკლებლად არ დაიგვიანებს პასუხი გასცეს ასეთ, ჯერ კიდევ გამოურკვეველს ერის მოძრაობას გაქირე-ებულ-მომკითა თვისი წელიწადის მისაწვდენად. მე ე-მბობ ქ. ქუთაისზე, ამისთვის რომ იმდენი გონება-ვახსნაილი და უმაღლესი განათლების მექანე ქართ-ველნი არც ერთს ქალაქში, არც ერთს საქართველოს კუთხეში არ გამოვა. რა დაუშლით მათ, შეადგინონ მო-ქმედი წრე, ე. ი. კახეთის დამწულთა დამზარებელი კომიტეტი, რომელთაც შეეძლოთ იზრუნონ და, რაც შეიძლება, საჩქაროდ თავს იღვან და ადვილად მი-აწვდინონ კიხიყ-კახეთის დამწულეებს ხალხში მოგრო-ვებულ საზრდო: თუ ფულად, თუ ხორბლათ, თუ სიმინდათ, ღამათ, ან ფეტვის მქადათ. იმერეთ-გურია-სამეგრელო-აზნაზეთი უცდის ასეთს მთაოსენ-ბელს წრეს, რომ საჩქაროდ მიაწვდინოს თავისი წელი-ლი დამწულთათვის გადასაცემად. რაიკა შეეცნება „კვალის“ რედაქციას, იგი სთხოვს თავის მკითხვე-ლებს და თანა-მგრობელებს ყოველივე ამბავი ამ საქმის შესახებ დაუყოვნებლად მოგვწერონ, რომ საქმე საუკეთოსოდ გამოირკვეს და საქიროების შე-საფერი მოქმედება ნათლად აღინიშნოს თავთავის ღროზედ. ამას გარდა „კვალის“ რედაქცია სიამოენე-ბით იკისრებს შეწირულების გადაცემას დანიშნულე-ბისამებრ, თუ კი შეწირულთა ინებებს რედაქციის შუამავლობა.



1—თ. ი. კეგევაძე. 2—დ. მუსხელიაშვილი, 3—თ. დავაისუბნათაშვილი, 4—თ. გ. ორბელიანი, 5—თ. ნ. ორბელიანი.
 6—თ. გ. თარხნიშვილი. 7—ნ. ნიკოლაძე, 8—თ. ა. ჩოლაყაშვილი, 9—მ. მახაბელი, 10—თ. ი. მახაბელი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

გოგორც ღრუბელთ წინამძღვარსა,
 უყვარს გრგვინვა, ჰეჰა-ჰუჰი,
 რომ მის ფრთებ ქვეშ შეიფაროს
 წიწილა და ბატის ჭკუი.

მართლის თქმით და გულ-წრფელობით
 ბეგერი ეინშე მოიმღერა;
 უფრო კარგი იქნებოდა,
 რომ არ იყოს ის ცმუტურა.

ბეგერს ამბობს და რიგინად,
 რაც გულში აქვს, ვერ დამალავს;
 ნაძღვეს დადებთ, ეინც რომ იმას
 შეაჩერებს, ან დალაღავს.

კატასავით მოკრუტუნე,
 წყნარი, ფრთხილი კულა-მელა,
 მხოლოდ ჰფიქრობს თაფის-თაფელდ,
 სულ ერთია მისთვის ყველა.

ვერც არაფერს გააკეთებს,
 არც არაფრის წამხდენია;

მაგრამ ზოგჯერ მისი სიტყვა სინზარიტით აგებდნენია.

უმნიშვნელოდ არას იტყვის, და თუ ნახა მან მიწანი, ერთს მისთანას დაიძახებს, როგორც დიდი ზარბაზანი.

სიტყვით წმინდა გიორგია, საქმით თურმე გეუჩქალა; უწყლოთ თევზი გააჩინა, რიყეები გააბალა.

პროკურორად ნამყოფია, მერე იყო თვით ეპილად; სადაც გინდა, როგორც გინდა, გამოადგება ის ადილად.

ხან ჩენია, ხან სხვისია; ხან აქ არი, ხან იქ არი. ხან წალბა და ხან უტულმა ბდღიერს აადენს, როგორც ქარი.

გულით ამბობს, რასაც ამბობს, რაც პერანგზე დაიწერა და თუ სცდება, მისი ცოდვა მიეცა მას, ვინც ჩაბერა.

აკაკი

ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა

წერალა მეორე.

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაწვდების.

წარსულ წერალში ჩვენ გამოვაცხადეთ ის საზოგადო მიზნები და გარემოებანი, რომელთაგანა სომეხები და ქართველები ერთმანეთს დაშორდნენ ამ ბოლოს დროს. მაგრამ ჩვენი გამოკვლევა სრული არ იქნება, თუ მარტო იმ მიზნებს მივიღებთ მხედველობაში და გვერდს აუტკევეთ ეკონომიურს გარემოებას, რომელიც ქართველებსა და სომეხებს შორის დაშორებდა მეცხრამეტე საუკუნეში. ეს ეკონომიური გარემოება მოჰყვა სამს დიდს რუს-ოსმალეთის ომს, გამოწვეულს 1828-ს, 1853 და 1877 წლებში. ამ სამივე ომიანობის შედეგი იყო ოსმალეთის მახრებიდან სომეხების გადმოსახლება სა-

ქართველოში. საუკუნოების განმავლობაში დევნილნი და ტანჯულნი სომხის სახლობანი სიხარულით უხვდებოდნენ წინ მართლ-მადიდებელს რუსის მხედრობას, რომელიც მათ გულის ჯავრს იყრიდა მანმადიანობაზე და ასუსტებდა ოსმალეთის ძლიერებას. თვით რუსეთის მხედრობა დიდი მადლიერს იყო ქრისტიანი სომეხებისა, რომელნიც ყოველთვის რუსის მხედრობის წინა რაზმში ომობდნენ და დიდ შემწეობას აძლევდნენ, თუ მტრის ამხის შეტყობინებით, თუ ბრძოლაში დახმარებით, რომ ოსმალის მხედრობა დამარცხებულიყო და რუსეთს დაეპყრო ძველი საქართველო-სომეხეთის მახრები. მადლიერს რუსეთის მთავრობას სამაგიეროდ გადმოჰყავდა შევიწროებული სომეხობა ტფილისისა და ერევნის ლუბერნის მახრებში და ასახლებდა ამ ქვეყნებში. ამ სახით მრაველი სომხის ოჯახი გადმოვიდა ტფილისის ლუბერნის მახრებში; განსაკუთრებით გამრავლდნენ ისინი საქართველოს ქალაქებში. რაკი თავის მიწაწყალს და ადგილ-მამულს მოშორებოდნენ, სხვა ღონისძიება არა ჰქონდათ რა ახალ-გადმოსახლებულებს, ეპქრობისათვის უნდა მიეყოთ ხელი და აქაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა მათ რუსის მთავრობამ. მხედრობას სჭირდებოდა ყოველნაირი სურსათი: პური, ქერი, არაყი და სხვა ხორაგეულობა. ამანების ყიდვას და დაშვადებას ხალისით აძლევდა რუსის მთავრობა ახალმოსულს სომეხებსა, რომელთაც დიდშემოსავლიანი იჯარებით მალე მოითბეს ხელი, გაიმზარეს წელი, გამდიდრდნენ და წარსდგეს წინ ნაბიჯი ეპქრობაში, ასე რომ მალე სულ მოვიდა ეპქრობა ქართლ-კახეთისა იმით ჩაუვარდათ ხელში ყოველგან, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ გამდიდრებულს ახალმოსულს სომეხობას თვალწინ უდგა უწინდელი თავისი გაქირება და სისაწყლევ. და ახლა, როდესაც გამდიდრდნენ, შხოლოდ საკუთარი სარგებლობით და ანგარების-მოყვარებით გატაცებულნი, აღარას დასდებდნენ მიწის მეპატრონე ქართველობას. ოღონდ ეკ მათს ფულს ემუშავნა და დიდი სარგებელი შემოეტანა, თორემ მათ რა ენაღვლებოდათ, თუ ეს სარგებელი ქართლ-კახეთის ხალხს გააღარიბებდა და ზოგან მიწაწყალზედაც ხელს ააღებინებდა. ისინი გულის არ იტყვიებდნენ ამით, მით უფრო რომ ქართლ-კახეთის ხალხი ახალმოსულ სომეხებისათვის სულ უტხო ქვეყანა იყო და ამით სრულებითაც არ ჰქონდათ იმისი მორიდება, რომ ეს ისტორიულად მონათესავე და მეზობელი ხალხი იწყენდა ასეთს მტრულს მოპყრობას სტუმრად მოსულებისას. ასეთმა გარემოებამ სომეხობა და ქართველობა მართლაც საფუძელია-

ნად გადაამტკნა. რადგან სომხის ფულიანი საზოგადოება ქალაქებში ცხოვრებდა, იმათი შეილების გამოზრდაც ერთი ათად უფრო იაფად ჯდებოდა, ვიდრე სოფლებში და მახრებში მცხოვრების ქართველებისა. ამისგამო სომხები შეძლებას გარდა განათლებითაც ძალიან დაწინაურდნენ და შეუდგნენ თავის ეროვნების აღორძინებას, იწყეს მუშაობა სომხურის ენის და სომხურის მწიგნობრობის ვაერცელებისათვის თანისიანებაში. იმათ ვაამარავლეს სასულიერო სკოლები და ისე ხელოვნურად წარმართეს განათლების საქმე, რომ მათს სასულიერო სასწავლებლებიდან გამოდიოდნენ საერო და სამოქალაქო კაცები, რომელნიც გენენაზებში კურსის დასრულებულებს არ ჩამოუდგებოდნენ და მიემგზავრებოდნენ ევროპისკენაც განათლების დასამთავრებლად. სომხური სკოლებით მოიფინა თვით ქართლ-კახეთი და იმერეთი, საცა სომხები ქართველებთან ერთად ცხოვრებდნენ და სომხური ენა დაიწყებოდა. ამისგამო იმათი სამეღვლეობება აქ ძალა-უნებურად შეეტაკა ქართულ ენას, რომ სომხებისათვის შეეყვარებინა თავისი სამშობლო ენა და ყოველ უმართებულო ღონის-ძიებასაც ხმა-რობდა, რომ ქართველი და მისი ენა სომხის ენაა და სომხისთვის შეეძლებინა. ამ სახით ახალ-მოსულ სომხების გავლენას ქვეშე თვითონ ადგლობობიება სომხებმაც ზურგი შეაქციეს ქართველებს და მათზედ გული გამოიკვალეს. ერთი სიტყვით ერთად შეზრდილნი, ერთად მხენელ-მთისველნი და ერთმანეთში ნათელ მირონნი ქართველ-სომხენი ახალმოსულებმა ერთმანეთს დაამორცეს. ეს ყოველივე შეამჩნია ქართველმა ერმა და თვითონაც მტრულად შეხედა ასეთს მიმართულებას სომხის სამეღვლეობისას და ძველი სომხის განათლებული თაობისას. ამის გამო განათლებულმა სომხის ახალგაზრდობამ და ქართველებისამ ამ თუთხმეტისა და ოცი წლის განმეულობაში აგრეთვე მტრულად დაუწყა ერთმანეთს ყურება და ამ მტრობამ განსაკუთრებით იჩინა თავი სომხურსა და ქართულს ჟურნალ-ვაზეთებში. სომხის მწერლები აძაგებდნენ ქართველებს და ჰქადაგებდნენ: ნუ ენდობით ქართველებს; აგრეთვე ქართველი მწერლებიც ხშირად სომხებს აძაგებდნენ და ჰქადაგებდნენ: ნუ ენდობით სომხებს. ასეთმა მტრობამ იმდენზედ მიადწია, რომ ზოგიერთი წარჩინებული მთავრობის მოხელე სომხი საიდუმლოთაც კი ასმენდა მთავრობას ქართველების ორგულობას; ზოგი ქართველიც აგრეთვე იტყვოდა სომხების წინააღმდეგ. აქ მოხდა მტრის გულის ვასახარელი საქმე, ეს ორი ხალხი ერთმანეთს დაეტკა და ერთი-ერთმანეთს უთხრიდნენ

ძირს. რომელიც ორივეს მტერი იყო და ორივესათვის (კუდი ჰსურდა, ის კი გულში იძახოდა:

„წამკიდებელი წაჰკიდე.
ორივეს თავი წასწვეიტყო.“

მაგრამ ამ დროს თითო-ორი ახალგაზრდა განათლებული მწერლები გამოჩნდნენ როგორც სომხობაში, ისე ქართველობაშიაც, რომელთაც იგრძნეს, რომ ასეთი დამტკნება ამ ორის მგზობლის ხალხისა არ მოუტანდა სიკეთეს არც სომხობას და არც ქართველობას. იმ მწერლებმა პირველად აღამალეს ხმა ვაზეთებში და ჟურნალებში ასეთი უწყესო მოქმედების წინააღმდეგ. ერთი იმათგანი განსვენებული იერემია არწრუნიც იყო. მაგრამ ერთი და ორი მერცხალი ხომ ვაზაფხულს ვერ მოიყვანს და მართლაც არ დაცხრა მტრობა ქართველებსა და სომხებს შორის. უფრო დიდი ვამწავება ამ ორს ხალხს შორის მოხდა 1890 წლიდან, როდესაც ქართველმა ახალთაობამ განიზახა ჯეროვანი მონაწილეობის მიზეზად ტფილისის ქალაქის გამგეობაში, ისარგებლა გარემოებით და უწინ რომ მხოლოდ თითო-ორი ქართველი ხმოსნები ისხდნენ ქალაქის საბჭოში, 1890 წლიდან ქართველებმა იმდენი მოხერხება გამოიჩინეს, რომ ორისა და სამის მაგიერად ოცდა რვა ქართველი ამოაჩრჩეს ხმოსნად.

ამ გარემოებას ძველმა სომხის მეთაურებმა შურის თვლით შეხედეს და დაიწყეს მუქარა: „აბა, ენახათ, მომავალ არჩევაში, თუ ყველანი არ გამოგრკოთ ქალაქის საბჭოდანა.“ ეს ამაზეი ქართველმა ახალგაზრდობამ უსამართლოდ სცნა და თავის ერის შეურაცხ-ყოფად ჩასთვალა. აქ ძველი სომხ-ქართველთა მეთაურები ერთმანეთს დაეტაკნენ. ხშირად, როცა საბჭოში ერთი მგორეს ამაილებდა რაიმე ნაკლულევენებას, ან უმართებულო მოქმედებას, საბჭოს გარედ აერცელებდნენ ხალხში ხმას, როგორც სტამბის საშუალებით, ისე ლაპარაკითაც, რომ სომხი ქართველის მტერია და ქართველი სომხისაო. ყველა ცხადად მიხედება, რომ ასეთი მოქმედებით მეთაურებს უნდაეთ თავიანთი თავი ისევე აზოვჩეინათ თვითონ მომხრეებს და იმას კი აღარ დასდევდნენ, რა საშინელს ღვარძლს სთესდნენ ამ ორს ხალხში და რა უბედურება შეიძლებოდა დატრიალებულიყო იმათ შორის. განა დრო არ არის გამოფხიზლდეთ?...

ვისაც თუთხმეტი და ოცი წელიწადი სულ ერთ გზაზედ უფლია, იმას, რასაკვირველია, სხვა გზით ევლარ წაიყვანს კაცო; მაგრამ ჩვენს მოვალეობა არის მივაქციე-

ნორ ყურადღება ახალთაობას ამ საქმისათვის. დრო არის, ახალი თაობა, რომელიც, ეს არის, გამოდის სასპარგზოდ, უფრო გონიერად მოიქცეს, ვიდრე იქცეოდნენ ძველი მეთაურები. დრო არის სომეხ-ქართველ ახალ თაობამ საერთოდ მისცეს ხელი ერთმანეთს და დააწყოს მუშაობა კეთილ-მდგომარეობის მოსაპოებლად.

ძველები ამბობენ, რომ რა გვაქვს საერთო რომ ერთად მოქმედება შეგვეძლოსო? ვინც ამას იტყვის, ან ყმაწვილობიდანვე გონებით ბრმა არის, ან და საკუთარი ანგარების-მოყვარებით დაბრმავებულია. ვიშრომოდ, ძმებო, საერთო კეთილ-დღეობისათვის, ნუ გვიხსენებთ უწინდელს შეცდომებს, მოვახშაროთ ჩვენს სწავლა, განათლება და გამოცდილება ჩვენს ქვეყანას ყოველ სახოვადო საქმეში, წინ წავეყნოთ საუკეთესო გულ-წრფელი და კარგად მომზადებული კაცები; ნუ იქნება თქმა, რომ ის კარგია, მაგრამ ქართველიაო, ან ის კარგია, მაგრამ სომეხიაო. ერთიც იყოს, მეორეც იყოს და ორთავემ ჩვენს საერთო ქვეყნისა და ხალხისათვის იზრუნოს. ნუ დავიწყებთ, რომ ოჯახში ერთმანეთის დახმარებით კეთდება საქმე და განხედ-გადგომით ჰქრება ცეცხლი კრახედ. ნუ ვენდობით ორპირს ბქადებებს, მეზურნეს და გულ-ღვარობიანს მეგობარს. ეს თვისება უფრო ძველი თაობის კაცის არის. ახალი თაობა კი უფრო გულწრფელია, უფრო ქვეყნის გულ-მემატიკიარი. ამას ამტკიცებს სომხური გაზუთების „მურჩის“ და „ტარასის“ მიმართულებით. მათ თანა-უგრძნობს ქართული გაზუთის „კვლის“ რედაქციაც. იმედია, მომავალი „მშაქის“ რედაქციაც ამ აზრის იქნება. ჩვენ ვიშრომით მხოლოდ სახოვადო კეთილმდგომარეობისთვის და ღმერთიც ჩვენს შემეწე იქნება.

ბ. წერეთელი

დიდუბის ტაძარი




ღვენიდელი დიდუბის ტაძარი სრულიად არ მიემგზავსება იმ ძატარს, რომელიც თამარ-მეფის დროს იყო აგებული, თუ არ ცუდებით, მამა მისის ვითარგი მესამისავენ. მანვე ალუგო აქ სასახლე და შეწერილი წალკოტი თავის ქალს, რომელიც იზრდებოდა იქვე განსაკუთრებით მისთვის აგებულ სასახლეში საქართველოს ტახტის დასაქვრად. მამა მისი აქ ზშირად აჩვენებდა თავის მემკვიდრებს სამხედრო ვარჯიშობას ჯერებამას. დიდუბის მინდორი საუბახედ ყოფილა შეთვრამსვეტ საუკუნემდის, იგი, ერეკლე მეფემდის.

ძველი ეკლესია აგურით ყოფილა ნაშენი; მისი ნანგრევი განახლდა პაეღე ვეზარხოსის დროსა

რუსულ გეგმავედ. ძველადგანვე დიდუბის ლეთის მშობლის ეკლესიაზე მრავალნი მლოცველნი დადიოდნენ, განსაკუთრებით უძეო დედა-კაცნი და მტკიცედ სწამდათ, რომ დიდუბის ლეთის მშობლის ეკლესია მიაგებდა მათ ნაყოფიერებას. დიდოფალი ბურღუბან თამარმეფის დედა რომ მძიმედ შეიქმნა, თურმე გიორგი მეფემ ღმერთს აღიქმა დაუღვა, რომ დიდოფლის კეთილად მორჩენისათვის ლეთის-მშობლის სახელზედ დიდუბეს ეკლესია უნდა აღეკოფო. მართლაც ყოფილა თუ არა შეილი, მეფემ აქ სასახლე და წალკოტი ალუგო თავის ქალს და თან აღიქმაც აღასრულა ლეთის წინაშე; ალუგო ტაძარი დედა ლეთისა, რომელსაც მიანდო თავისი პირმშო ქალწული.

თამარ მეფემ მეორედ ჯარი დიდუბის ეკლესიაში დააწერა. ვინ იცის, პირველი ნაპერწკალი სიყვარულისა, იქნება, ამ სასახლეშიაც მოხედა მის გულს, იქნება იმიტომაც უფრო უყვარდა დიდუბის მიდამო. ის ზშირად სიამოვნებდა აქ ჯარის დახედვით. ომიანობის წინად იგი აქედან ისტუმრებდა თავის მხედრობას და პარაკლის უხდიდა მას დიდუბის ტაძარში. გამარჯვებული ჯარი პირველად აქვე მობრუნდებოდა და მორათმეფდა თამარ-მეფეს ნადაელს: ურიცხეს საქონელს, თვალ-მარგალიტს, ოქროსა და ვერცხლს, ნაშონეს უცხო ქვეყნებში მტრის აკლბითა. როგორც ქართლის სტორებმა მოგვიხზრობს, როცა დავით სოსლანმა დიდებული შამქორის ომი გადაიხადა, ბუბაქარ ათაბაგის ჯარი მოსრა, სულთანს განჯა და ყარაბაღი წართუდა და ხალიფას დროშა ნადავლად წამოიღო; მაშინ გამარჯვებული მეფე დაბრუნებულა და დიდი ნაშონევი მიურთმეგია თამარ მეფისთვის. „...და განეწყვეს სა და დიდუბისასა აქელამდის აქლემი ყოველი ტერითითა, ცხენი ყოველი აკახეულობითა; ეგრეთვე ყოველი იგი ამირანი თვისითა დროშითა; პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომითი შემდგომად გააწყვეს კართოვან ქალაქისად (ეჭუბა და დიდუბე ქალაქი ყოფილა) ვიდრე ხევაამედ გლდანისა, ტყე ყოველი კაცი, ხელმწიფე, ახნაურთა მონამდის—თორმეტი ათასი, ავხაზ ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შეიდი ათასი, ყოველი კიდებული, სხვათა სიმდიდრეთა და საქურჭლეთა, ოქროთა და ღარათა ვინმეცა უძლო აღრიცხვად; განიყვეს თამარ და შეწირნეს და ათაყვანეს ყოველნი იგი თანნი სარსეთისანი, თითოცა თაყვანი სცეს და მიულოცეს მეფობა ბედნიერი ღელისა მიერ...“

ამ უკანასკნელს დროს დიდუბის ეკლესია შეიქმნა ჩვენს ქართველებისათვის ნეტარ სახსენებლად და საყვარელ ალუგად, რადგან იქ განისვენებენ ნაშონის ქართველთა წარჩინებულთა მოღვაწეთა; დიმიტრი ბაქრაძისა, მიხაილ ყოფანისა და ივანე ყურყულიძისა. დღეს ამავე წმინდა ადგილმა მიიბარა ძველნი ჩვენის დიდებულის პოეტისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა.



ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა

წერილი მეორე

მნა მოგახსენიოთ, რომ ქართულს ლიტერატურას მე-XIX საუკუნეში არ ჰქონია არც საზოგადო პოლიტიკური მნიშვნელობა, არც ნივთიერი ძალ-ღონე და შეძლება. ამ ლიტერატურას, როგორც მას შეეფერება და შეშენის საზოგადოდ, არა სჭირია მეთათურობისა და თაოსნობის ადგილი. ჩვენს ბედში მყოფ ერის ცხოვრებაში ლიტერატურას ანეთი საქმე უმკველად, კიდევ უნდა დასტეხოდა თავი. სივდაც ნორჩსა და ახალგაზდა ლიტერატურას არ ჰქონდა მინიჭებული არავითარი პატივი, არავითარი **საგაღმწელო** საზრუნველი, არც არავითარი უფლება და ამიტომაც ყოველთვის უძლოერი, ვიგინდარა და უმნიშვნელოც იყო, რომ მიიზივნა საზოგადოება, მიეყურა მთელი ერის ყურადღება და ცხოვრებისათვის გავცლია გზა და მიმართულება...

მაგრამ, სამაგიეროდ, ქართულს ლიტერატურას ახსოვს ისეთი დროა, როდესაც ჰაბუკის სიმამაცითა და თავ-უზოგვედელად ხელში ეჭირა ძლიერი იარაღი პატიოსანი იდეისა და ამ ძლიერის იარაღის, იდეის წყალობითა და საშუალებით დიდი, თვალ-საჩინო **ხსენებრავა** გავლენა და ზედ-მოქმედებაც ჰქონდა მაშინდელს ქართველთა განათლებულს საზოგადოებაზედ. ღარიბი და ვიგინდარა, ყოველი გეარ უპირატესობას მოკლებული, ჩვენი ლიტერატურა, როგორც წარმოადგენელი გონებისა და იდეისა, დიდს ზნეობრივს სამსახურს უწევდა საქართველოს მანქმელს, იდრე ასეთი მდგომარეობა ლიტერატურისა პირწმინდად, ზედ-მოჭრით შეეფერებოდა თვით საქართველოს მელოთა საზოგადო ცხოვრებას. კეშმარტი დენიშუნულა რივიანი ლიტერატურისა მხოლოდ მაშინ დაისახა ჩვენში და ქართველთა გრძობა-გონება თითქოს დაუახლოვდა და გაცენოა მწკრები-ბული ერთა აზრის ზრდასა და ვითარებისა. იქ დროის ქართული ლიტერატურა, რომელზედაც ამ ყამად ჩვენ ელაპარაკობთ, გზა-და-გზა, პირდაპირ კვალში ულდა თვის დროების მოთხოვნილებებს და იმის მიმდინარებას არ დასცილებია, რადგან შრომისა და ღვაწლის არა ზოგავდა, რომ დროისა და ცხოვრების საქართველოსა და გვარად მონაწილეობა მიეღო ერის ფენ-ადამულის ისტორიულს ზრდასა და წარმატებაში. ლიტერატურას ესმოდა, შეგნებული ჰქონდა, თუ რას ითხოვდა ის ხანა ამისაგან და იმტომაც იყო, რომ განთავსებოდა, ემარჯებოდა თავისი არსებობის აზრი ენაგზარკივლებში. მაშინ ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენლებს გამოერკეთათ, რომ თუ ცხოვრებას ჩამორჩებოდნენ, უკვეცვლად ბრძოლისა და მოქმედების იარაღი ძირის უნდა დაეყარათ, პატიოსანი იდეისათვის თვით უნდა ეთვალნათ და წუთი-სოფლის განუკითხველს ზეირთთა ცემას ქვეშ უნდა მოჰყოლოდნენ მხოვრედ გაღაზუნდნი და სრულიად განადგურებულნი...

რა იყო მიზეზი? არა ჩვეულებრივი ნიჭი, დიდი და ერცული განათლება მაშინდელ ლიტერატურაში მოლდაწე თაობისა, თუ სხვა რამე ისტორიული გარემოე-

ბა, რომელმაც ფენ-და-ფენ აიყოლია, შეამუშავა და გამოიწვია მასში ცხოველს მყოფელი დროა ჩდია, ბრწყინვალე აზრები კაცთ-მოყვარეობისა და თავისუფლად მოაზრობისა? ნება მიბოძდეთ, ცოტა შორიდან მოუარო ჩემს სავანს.

ის თაობა, რომელზედაც ამ ყამად ჩვენ ესაუბრობთ, ამ ოც-და-ათის წლის წინად, სწორედ ბატონ-ყმობის გაყრის დროს გამოვიდა ლიტერატურის ასპარეზზედ. საქართველოს ცხოვრება, რომელიც შეეკავშირებულ იყო რუსეთის იმპერიასთან, რუსეთის საზოგადოებასა და ხალხთან ერთად, ეიროსა დიდი რეფორმის განმათავისუფლებელს ბრწყინვალე სხივებს ჭ მაშინ ადამიანის პირადობას მგარად აზბორკილებული ჯაჭვი ახაზხსენს. რუსეთი, მოწინავე საზოგადოება და ლიტერატურა დიდი მნიშვნით ასევე ცხოვრების ახალს მოძრაობას და დაიწყო მუშაობა. ჩვენი ვიცი, რომ ქართული ლიტერატურა ფენ-და-ფენ მისდევდა მაშინდელს რუსულს ლიტერატურას, რომელიც, უნდა ესთქვათ, ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროსვე დაადგა გამოფხიზრების, წარმატების გზას და დაიწყო საქეცნო, საკუბობოა აზრების ხმა-მალა ქადაგება. ყირიმის ომზეც ხომ დიდი ნაყოფიერი ზედ-მოქმედება იქონია რუსეთზედ. გამოფხიზლდა რუსეთი და მასთან ჩვენი ცოტათი ცნობაში მოსული საზოგადოებაც, განათლებულითა კრებულოც აშეკარად დანიახეს, რომ უწინდელი ამაძლებული ყოფა ეიწროა და მანენებელი ერის წარმატებისათვის. აქაც მხოლოდ მეტის მეტმა გაჭირება უწენდა გზა იმათ, ვინც ქვეყნის ბედს განავტებენ...

გონებით უსუსური ბატონი და თავის ბატონ-საეიოვე დაზრამეებული და დამუნჯებული ყმა პირისპირ დაუდგა ეერობას, რომელმაც დიდი ხანია, რაც აღიარა და განააზრციელა თვით-არსებობისა და მეთათურობის დედა აზრი და მიველს საზოგადოებას და უდგა ახალი ხანა; მით უმეტეს, რომ ცოტა წინად, ბატონ-ყმობის გადავარდამდისაც ნივთიერად ერთი ნაბიჯი გადადგა რუსეთისა და ჩვენმა ცხოვრებამ და ცოტათი აღბე-მიცემობისა, მოქალაქეობისა და მრეწველობის შწო დაეკენო; თავდა-ზნაურობის მაშინდელს ფრად მარტვის მეურნეობასაც შეუქმნევლად გვერდის ამოდგომოდა მეორე, მოქალაქეთა წრე, აგრე წოდებული, სულ ახალგაზდა ბურჟუაზია, რომელსაც სრულიად ახალი ხანათი, განსავაგებელი ფერი უნდა მიეცა ცხოვრებისათვის...

ყირიმის ომი, რომელსაც ამ ჩვენი საუკუნის ერთი უდიდესი მოაზრე პოლიტიკო-ეკონომოსთავანი ერთის უმჯობელებლს კომვილად სთვლის ეერობივითათვის, დიდად სახეირო და საყურადღებოა შეიქმნა რუსეთისათვის. ყირიმის ომმა აშკარად დაამტკიცა, რომ რუსეთი, წმინდა, სახმედრო თვალთათც რომ განისმჯოს, მეტის-მეტად საქირივება რკინის გზების გაყვანასა და მრეწველობის, ახალი აღბე-მიცემობის განვითარებას. ომის ზედ მოქმედებამ რაღაც უხლადევი და საოცარი ძალით ერთბაშად გამოაფხიზლა საზოგადოებაც, რომლისათვისაც აუტანელი და სულის შეშუთვეული შეიქმნა ძველი ყოფა... და საანბანოა კეშმარტება ხომ, რომ ცხოვრების აუცილებელს საქირივებას ეერავინ ვერ გავტყევა; გამტყევი

შორს ვერ წავა, უყველად, და ისჯება და საშინელის განსაცდელისაგან თავს ეცლარ გამოისნის... და აი, მთავრობა იძულებული შეიქნა დიდი ყურადღება მიექცია ცხოვრების უსაქიროების მოთხოვნილებისათვის. მთავრობა ძლიერ შევილია და ეხმარებოდა მრევველთა, მოქალაქეთა ზურგის გამაგრების საქმეს, აგრე წოდებულ, კაპიტალ (სტატა*) განმრავლებას. მაგრამ მრევველობისა და ახალი წარმოების ფების აღგმასა და განვითარების უშლიდა, ძირს უთხრიდა კიდევ გივიე ხავს-მოკლებული, დატყვევებული, ბატონ-ყმური ცხოვრება...

უნდა მოგახსენოთ, რომ კაპიტალისტურ მრევველობას, თანა-მედროვე წარმოებას ზრ შკუილია ანსკიობა უზრდელეკტანატოდ და პროლეტარიატის აუცილებელმა საჭიროებამ ცხოვრებაში გამოიწვია შემოსის განთავსებულებას საქმეც... და აი, ახალი თავისუფლება მიენიჭა რუსეთისა და საქართველოს გლეხ-კაცებს, რომელთა საუკეთესო მიწა-წყალი განთავსებულების ღრ თს თავად-აზნაურთაგანს დარჩა და გლეხთა მომავალი ბედ-იბაღი ისციელი-სიცოცხლის განსაცდელში ჩაერდა.

თუმცა გლეხ-კაცებისა და მიკრე მამულიან ნაბატონართა მფრინება და ყოფა ძირიან-ფესვიანად შეირყა, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლად დაბადებულისა და ფეხ-აღმებულ მრევველთა, მოქალაქეთა, ანუ ბურჟუაზიის საქმე წარმატების გზას აღადგა, რადგანაც, როგორც ეს ცხატეო, მთავრობა მუდამ ეხმარებოდა და სხვა-და-სხვა პრივილეგიებს ანიჭებდა მას. ამავდროს ზოგიერთი დიდი მამულისა და შეძლების მფატონე ნაბატონარიც ქუთუში ჩაყარა და წმინდა ნივთიერის ცხოვრების გაუმჯობესობათაც ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა. ერთი სიტყვით, თან-და-თან, ნელ-ნელა დგებოდა და ირყევდა ისეთი ხანა, რომელსაც ცალკე, ერთბაშად-უნდა გამადგარიყო ქონება, ან უფთე ესიტყვით, კაპიტალი, მხოლოდ ცალკევე მფორე პირად—შრომა. ასეთმა ისტორიულმა გარემოებამ, რასაკვირველია, სულ ერთიანად, ძირეულად შესცვალა ჩვენი ცხოვრება და ყოველანა, ქალაქებსა და დაბა-სოფლებში სრული და ქეშპარიტი რევილიუტია მოხდა. და, აი, სწორედ ამ დროს შეიძრა ქართული ქუთა, გზონობა-გონება და ჩვენს ლიტერატურას მიეცა სრულიად ახალი მიმართულება, დაუდგა ახალი დრო...

ახალმა ცხოვრებამ მოითხოვა ლიტერატურის ახალი წარმომადგენელი, რომელიც ქქალაქებდენ კაცობრივად, ჰუმანურს აზრებს. ქართულს ლიტერატურაში პირველად ასტყდა მრავალ-გვარ სახალხო საქმებზედ საუბარი და ბეჭობა, რომელნიც ეყუცხიანებოდნენ ძველ ქართველებსა და *მამებს*. *შეიღვენის* ესეთი საქციელს *მამები* დასცინოდენ და მქირადვის ენით ეკითხებოდენ: *საიდან ჰქანეთით?*

*) ჩვენს ლიტერატურაში შეცდომით ხმარობენ, *კაპიტალის* მაგიერად სიტყვას: თანხა-თანხა სრულებით ვერ ჰქნათეს შენაძნის (сущность) კაპიტალისას (kapital), რომელსაც სხვა მნიშვნელობა და აზრი აქვს აწინდელ მესციერებაში. უმჯობესია, ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში უკუბო სიტყვა ვიხმაროთ, როგორც იქციევიან სხვა განათლებულ ერთა მესციერნი.

ასტყდა ბძობოლა. და შედეგად ამ ბძობოს ის მოჰყვა, რომ *შეიღვენა* განმარჯვეს...

საქართველოს ახალ-გაზდა ლიბერალნი მაინცა და მაინც ბებერთ არ წავაგედენ დასავლეთის დიდად განათლებულსა და დაბრუნებულს ლიბერალთა.* ჩვენებურ ლიბერალთა პროგნოზამა მარტივი იყო. ისინი ერიდებოდენ, უარსა ჰყოფდენ მრევველობის განვითარების ჩვენში, დასცინოდენ და უფულობელ ეყუცხიანებდენ ახალ წარმოებასა და მოქალაქეთა წარმატებას. მოქალაქენი, ვაჭარნი და მრევველნი მაშინ მაინც სულ უკუბო ერისანი იყვენ ჩვენში და ქართველობა კი დაბა-სოფლად იყო დამკვიდრებულთ. აღბად, ამიტომაც ლიბერალთა მთელი ყურადღება დაბა-სოფლებზედ იყო მიქცეული, სოფლის თავად-აზნაურთა და გლეხთა მამა-პაპურს მარტებს მფრინებამზედ ბეჭობდენ და სწერდენ. ლეთის წინაშე, ისინი ამყობდენ კიდევ, რომ დასავლეთის კაცობრიობის გზას ჩვენი, ქართველთა ერის ისტორია სრულებით არ წავაგეს და იქაურს ცხოვრების ვითარებას ასცდათ. ჰო, ისინი მართალს ამბობდენ თითქმის, რომ ჩვენი ცხოვრება არ წავაგავდა დაწინაურებულ ერთა მოქალაქობრივის ყოფას; მაგრამ ამ ყოფას მართლად გზას აუქცევდა და ასცდებოდა ჩვენი ერის ვითარება, თუ არა,—ამაზედ თავს აღარ იწუხებდენ და თავისებური აზრი წყედდენათ. ლიბერალნი სწერდენ თავის ნიჭის შესახებ წერილებს, წარჩინებულს ლექსებს და პროზისა თუ პოეზიის საშუალებით გვიხატავდენ სოფელთა ცხოვრებას და იქაურს შესაკუთრებას სადა ყოფას შესაბოროტად...

დასავლეთის ლიბერალობა კი, როგორც ციციოთ, პირ-წმინდად დიდადა და აღბოცენდა მოქალაქეთა ინტელაგზედ და მუდამ კაპიტალისტთა ეკონომიური ნიჭბრებსების გულ-წრფელი დამკველი იყო. ქართველი ლიბერალნი კი, როგორც ესიტყვით, უყურადღებოდ სტოეებდენ ახალი წარმოების საქმეს და მასთან ეკონომიური მხარე ჩვენი ცხოვრებისა, ყოველ დღეობი ყოფა ნაბატონართა, ნაშინაყმეთა და სხვა, მათ გარეშე წრის სრულიად გაურყვეველი და ხელმეუბნებელი დარჩათ. მხოლოდ ბუნდად, გაკერით გამოსთქვებს თავიანთი აზრი ამ მეტად მწვავე და საჭირბოროტო საგნებზედ...

რაც შეეხება წმინდა საპოლიტიკო საკითხებებს, აქ კი უფრო ლოლიკურად და გარკვევით იქციოდენ

*) აქ, ქართველ ლიბერალების საზოგადო აზრების განხილვის დროს, არ არის მისაღები მარტო ნ. ნიკოლაის შეხედულობა საზოგადო ეკონომიური ვითარების შესახებ. ქართველთა ლიბერალების აზრის წინააღმდეგია, თუ არა ესცდელი, იმისი აზრი ამ საგნებში. ის ნამდვილს მოქალაქეთა, მრევველთა ირტყუბების დაკვეს უფრო ემსახურებოდა და ეს არის, ჩემის აზრით, უმთავრესი მუხლი, რომელზედა დიდადა ნ. ნიკოლაისი წინააღმდეგ კამათობა ჩვენებურ და რუსეთის ლიბერალთა შორის, როგორც მაკალათიდა, ნ. შელაგოვისას. ჩვენ იძინდენ საყურადღებოდ მოგახანია ნ. ნიკოლაისი აზრი ამ საგნებზედ, რომ განზრახვა გვაქვს განსაკუთრებული წერილი ვუქცინათ მის მიღედაწეობას და იმ აზრსაც მაშინ გვარკვევთ. მარეუ ქვე შევიწმინდათ, რომ ახლანდელს წერილ იაც ჩვენ ვებებთ ქართველს ლიბერალთა მარტო საზოგადო იდადა აზრების გამოარკვევას სხვა, მრავალ გვარი დამკველი იმით, რომელიც ეყუცხიანებოს სთავის ცხადია, განუზიღველი გვრება.

ქართველი ლიბერალები და წარმოადგენდნენ ევროპის ლიბერალითა საპოლიტიკო პრაგმატის სახეს. თუმცა ჩვენი ლიბერალების სურვილი ის იყო, რომ თითოეულს კომოს თავისი საკუთარი ენო-გარემო და მიწა-წყალი ჰქონოდა და ბურჟუაზულ სისულელედ სთვლიდნენ მშრომელთა მიწა-წყლის ჩამორთმევას; მაგრამ სულით და გულით შენატრადნენ ევროპიელთა პოლიტიკურს ყოფას, იქნაღს მოქალაქეთა საზოგადოებრივ განვითარებას. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენი ლიბერალინი ვატაკებულის ქება-დღეობით და მხურვალე პატივის ცემით იხსენიებდნენ დასავლეთის ბურჟუაზიის პოლიტიკურს მოღვაწეთა ღვაწლს და სამსახურს. დასავლეთის საპარლამენტო მოღვაწენი, ერცელი და დიდი განათლების და გამოკვლელების მიქრანნი ლიბერალინი გზის მაჩვენებელ ლამაზად და ჭკუის მწვრთნელ მოძღვრებად გადაქცეულიყვნენ მაშინდელ ქართველ ლიტერატურის ასპარეზზედ მოღვაწეთათჳს... ქართველ ლიბერალითა სასახელიად უნდა მოვიხსენიოთ, რომ აქ, ამ საგნის შესახებ ისინი ნამდვილს, ჭეშმარიტს ნიადგაზუნდ იდგენ და იმათ მახვილ განიჭებულს საერო ინტერესებისათვის ერთხელად არ უმტყუნიათ...:

გზა-და-გზა რომ მიჰყვით ჩვენს ლიბერალებს, უნდა სიმაართე ესთქვათ, რომ ზოგიერთს ნაწერებში შივად-აშივ ვატარებულთა ევროპის უტოპისტებისა და რუსების, მე-ნო წლების ეკონომისტთა სწავლა-მოდღობება. ასეთი ხასიათი იმათს ნაწერებს უფრო იქ ეტყობა, სადაც აღძრულია ბაასი საზოგადოდ ეკონომიურ საგანთა შესახებ. მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, უეჭველად. ახლად გამოფხინდებულსა და აღორძინებულს ცხოვრებას აღუწნდა ისეთი ლიტერატურა, რომელსაც უფრო კიდევ ვერ გაეჩკია, ნათლად ვერ წარმოვდგინა ვითარების ნამდვილი ბედ-ილალი. საზოგადოების მოქალაქობრივი ყოფა ასაკშიაც არ იყო შესული და იდგა განვითარების იმ საფეხურზედ, სადაც ძნელია თავისი საკუთარი თავის კარგად ცნობა, თავისი გაჩენა და ხასიათის ნათლად გამოხატვა. ცხადია, რომ ლიტერატურასაც უნდა დარჩენოდა ბევრი რამ განურკვეველი და ვადაუწყვეტელი. პირველად ყოველთვის და ყოველგან ასეა. შემდეგ კი, დრო მიდის, ცხოვრება თავის შესაფერს კალაპოტში დგება და ვითარების უტყუარს გზასა და მიმართულებას ადგება. პირვანდელი ლიტერატურის წარმომადგენელნიც თან და თან ბრძენდებიან და სწორედ თავის შესაფერს ადგილს იჭერენ ცხოვრებაში. და, აი, აქ იწყება კიდევ იმათი ისტორიაც...

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ევროპის ლიბერალითა შრომის განთავისუფლებას ჰქადაგებდა, მაგრამ გაეიდა ხანი და გათავისუფლებული შრომა კაპიტალითს მძიმე და მწარე უღელს ქვეშ მოჰყვა. ვიცით, რომ ევროპის ლიბერალითებამ უარ-ჰყო ოფიციული მონაპოლიები შთამომავლობისა, გვიარშვილობისა და ყოველ-გვარი ურდობრივი უპირატესობა. მაგრამ საზოგადოერო, ერის უმჯრავლესობა ნამდვილი ტყვე შეიქცა ვაბატონებულ და მოპარაზე კაპიტალიტათა წარმოებისა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ასეთი თუ ისეთი მართვა-გამგებობა ქონებით შეძლებულს

წრეს ჩაუფარა ხელში და დაჩაგრულ უმჯრავლესობისათვის თანასწორობის აზრი უარყოფილი შეიქცა. წარმატებულ ერთა თანამედროვე ვითარება ამ მხრივ მეტის მეტად შესანიშნავია და დამაფიქრებელი... ევროპას ლიბერალიზმის სულით და გულით ჰსურდა ქვეყნიერება, სადაცა წუთით-სოფლის ცხოვრება გავბედნიერებია, საერთოდ ხალხისათვის კეთილ-დღეობა მაინიქებია, მაგრამ რასა ეხედავთ? დღინდელმა რთულმა წარმოებამ ვერ დაბადა სასურველი ყოფა, ულათა მრეწველობის ჭეშმარიტ ვითარება, მოქალაქეობა და თანასწორობის დედა-აზრს. იგი მძიმე და აუტანელს ტვირთად დააწვა მუშა ხალხს, საფათოეყო ყოფაში ჩააგდო ისინი, და შექცა მთელ მთელი რაზმები უსაქმო მუშებისა, რომელნიც მრეწველობის დასუქებლად და შემცირების, კრიზისის და გვარად, ხან მატულობენ, ხან კლებულობენ ხლამე. და ასეთი ყოფა აუცილებლად საჭიროა იმეტამ, რომ ბაზრებისათვის ხან ბევრი, მრავლის უმჯრავლესი საკონცელია საჭირო და, მაშასადამე, მომჭირებულს მუშასაც თხოულობს და ხან კი—უფრო ნაკლები... აწინდელ ვითარებას ამგვარ ქარიშხალს, ვერც მოედებულ, ანაზხიას არ შეიძლებოდა დიდი ხედ-მოქმედება არ მოეხდინა ქართველ ლიბერალებზედ. იგი-ნი შედგენ განციფრებები, თითქოს უფრო ბრძნულად და დავიჭრებით ჩაუკიროდნენ მშობელი ერის ყოფას და... სარბიელი ვიწროდ შრომასაზღვრეს, წმინდა კრაგუნდს, პატრიოტულ გრანობების გაღვიძების საქვეს დაადგენ. ერის იმგვარ ყოფას, რომელშიაც ჩაჯრდნოლიყო უბედ-ილდო, პატეი-ყარლი ქართველობა, არ შეიძლებოდა არ მიეცქია ყურადღება ქართველი ლიბერალებისა, რომელთაც მთელი თავიანთი ნიჭი და განათლება სამშობლოს ინტერესებისათვის წრველი გულითა და სინდისით მსხვერპლად უნდა შეეწირათ... იმათ აქაც დიდი ღვაწლი დასდეს მშობელი ერის აღორძინების საქვეს, აქაც შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინეს მით, რომ ვამაკოცობლები სული შთაბერეს წარსულს, შეედღეს მყოფ გმირთა თავგადასავალს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ცხოვრება ნელ-ნელა ჩაითრია საზოგადოება, საკულაბრია ვითარებამ და ბნის „ივერილის“ თქმისა არ იყოს, ქართველთა ერთი „ესლა საისტორიო ჯვარედინზედ დგას, იმ ჯვარედინზედ, საცა სამი და ოთხი გზა ვადაჯვარედინებული“ („მოკლეობა ჩვენი თავადა-ანაზრებისა“, „ივერია“ № 10, 22 და 23).

როგორც მხედავთ, დაუღულებელს ცხოვრებას იმ სათავეშივე, თვით დასაწყისშივე აებნა გზა. ყმების განთავისუფლებამ მსხვერვი ნაყოფი ვერ მოიტანა, ჩვენს მოღვაწეებში იმდენად ვერ გაუფართოლდა და საზოგადო—საკონომო აზრები ვერ-დავროათ, დაეხლართათ, აებნათ. მაგრამ, თუ საქვეს ფრთხილად და სამართლიანად განცხვით, ქართველ ლიბერალებს დიდი საყვედრო არ ეთქმის, რადგან ასეთი აზრები მარტო ქართულს ლიტერატურას არ მოსწრეთ. მსგავსი მდგომარეობა ასოცე ყველა დასავლეთის ქვეყნებისა და რუსეთის ლიტერატურასაც. წინა-პირველად აღორძინებული ხანა ლიტერატურისა ისეთი ხანა იყო იქაც, იმ ქვეყნებშიაც, რომ ვერ არ-ჩევენდნენ ჭეშმარიტს ინტერესებს შრომისა ცალკე და


ბურჟუაზიისას ცალკე. მაშინდელი ლიტერატურა, საზოგადო, იქაც გატაცებული იყო უდიდესისა და უზატონისას აზრებით. ლიტერატურა ჰქადავებდა ძმობას, ერთობას, სიყვარულს, საზოგადო ბედნიერებასა და ხალხთა კეთილ-დღეობას. ლიტერატურის მსგავსი ღრმად გამსჭვალული იყვენ პატიოსანი აზრებითა და გრძობით. მფორადენ უწარჩინებულენი ლექებითა, სწერდენ სხვა და სხვა სახელმძღვანელო სტატიებს, რომ კაცობრიობისათვის შეემსუბუქებინათ ცხოვრება და სააკაო ჯოჯოხეთი სამოთხის მსგავს სიამის სოფლად გარდაექმნათ. და ამავე წაში, სწორედ ამ ქადაგების დროსვე, ის წიგნი და ხალხი, რომელიც სისხლით აწ სხვა რაიმეთი ენათესავებოდა თვით მკადამბელით, თავის უაღვიღლიურს პრაქტიკულს ცხოვრებაში ნიეთიერს გამდიდრებაზედ იყო გადაყოლილი, ცხოვრების ცალ-მხრის მდინარებას მისწოლოდა და უფრო ამიტომაც მოეხლოვებინა თავისი გაუპირატესობის ქაში... და ამაზედ მეტი დაკინევა ისტორიისა კიდევ-ღა შეიძლება? ის ლიბერალნი, რომელნიც გულლიად დასცნოდენ რომელსამე წოდების, ვინა კლასის ვაპარაზებას, თვითვე უნებურად უშადადებდენ ნიადგას მოპარაზებას ვაბატონებას... შესანიშნავი და მეტის მეტად საგულთხბოლა ასეთი ვითარება და ტრიალი საქმისა. ევროპელითა ლიტერატურისა და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში დაგეანახეა ჩვენ ამის მავალითი. და თუ ღრმად ჩაეუკვრადებთ ჩვენს ახალს ლიტერატურასა და ცხოვრებას ამ ოც-დაათი წლის განმავლობაში, ჩვენც დაინახათ, თუმცა მკრთალსა და სუსტს, მაგრამ მსგავს ვითარებასა და მდინარეობას. ესმარომ სიტყვების: მკრთალსა და სუსტს იმიტომ, რომ ჩვენში მხოლოდ ყვების განთავისუფლებას შემდეგ დაიწყო ახალი ცხოვრება, რომელიც თხოულობდა ახალს წარმომადგენლეს შრომისასაც და ახალი აღმებ-მიცემობისასაც. და ეს ორი ფაქტორი ჯერ კიდევ, ამ ოც-დაათის წლის განმავლობაში, სხვა და-სხვა მიზეზების წყალობით, არ დამდვარა მის შესავფრს, საისტორიო კუთენილს ასპარეზზედ და არ განცალკევებულა მიეთის თავის სასეებითა და შინაარსით...

ამ გვარად, მე 60 და 70 წლების ქართველი ლიბერალიები მხოვრად და უნაგარო მისიყვარულენი იყვენ მშრომელ მესაკუთრებისა, მარტო იმათი კეთილ დღეობისა და ინტერესებისათვის ჰყოფდენ ღარს, ჩემის აზრით, შრომის, ეკრე წოდებულ, ბურჟუაზულ ეკონომიურს გათავისუფლებას. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენნი ლიბერალნი შურით შეგვირებდენ საკონსტიტუციო და საპარლამენტო მოღვაწეებს-მეთქი და აღტაცებულს ჰიშნას და საგლომბელს უმღიოდენ პოლიტიკურს, საზოგადოებრივს თავისუფლებას. უმჯველია, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც მათთვის, როგორც ყოველთვის, საზოგადოდ მოაზრე მოღვაწეთათვის, უპირველესი მნიშვნელობა და ინტერესი ჰქონდა სწორედ იმ თავისუფალსა და ხელის შეუხებელს საზოგადობრივს დედა აზრს. ივინი იყვენ ერის ქუთა-გონების, ინტელიგენციის წარმომადგენლენი და იმათ, როგორც გონებით მშრო-

მელ კაცთ, ესურგებოდა, ესაქიროებოდა, რასაკვირვლია, ისეთი ნიადგას, სადაც მტკიცედ დატული უნდა ყოფილიყო ამ შრომის თავისუფლად ტრიალი და ვითარება. იმათთვის ცხადი იყო, რომ დამმეგვრის, პოლიციურს თვით-ნებობისა და თარეშობის დროს, ინტელიგენციის, საერთოდ გონებით შრომის საქმე ვერ იხიერებდა და ლიტერატურას ჰქმნარიტი აზრი დაუკარგებოდა...

ამ გვარად, დიდი, ფას-დაუღებელი სამსახური გაუწია ბატონ-ყმობის მოსპობის დროს ქართულმა ლიტერატურამ ჩვენს ქვეყანას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეკონომიური ვითარების შესახებ იმ ლოგიკურს წინააღმდეგობასა, დაუკვირებლობას, რომელიც უნებურად ნათუვიდით მაშინდელს მოღვაწეებს, ჩვენ დაინახათ შემდეგს სანუგეშო სურათს. ძველი ცხოვრების მერყევისთანავე, ქართველთა ერმა შესძლო და წამოაყენა თავისი საქიროებისა და გვარად შესაფერი საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც აუყვენ ახალს, ფებ-ადამულს ცხოვრებას, მას შიგ ღრმად ჩაიხედეს და თან-და-თან, ნელ-ნელა შეკქმნენ შინაარსიანი ლიტერატურა, დიდად საყურადღებო თაყისებური ხასიათი დააჩინეს ლირიკურს პოეზიას, შეამუშავეს სამეცნიერო, მოწოდულ ლიტერატურის შესადგერი საუბარი, მოჰჭინეს ქვეყანას ნათელი და პატიოსანი აზრები, მოჰჭინეს ქვეყანას ნათელი და პატიოსანი აზრები, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც დასახეს პროგრამა სამოქალაქო დედა აზრებისა და მოღვაწეობისა. ცხადია, ისინი დარწმუნებული უნდა ყოფილიყვენ, რომ რაც გასაკეთებელი მათ დაეკლათ, იმას მათი შემდეგი ლიტერატურა შევასებდა და ინტელიგენციას სამოქმედოდ გამოიწვევდა, რომ აზრი უნცემოდა ქართველთა ერის საზოგადო ცხოვრების ვითარებას...

ზომული



შ ა ს უ ხ ა დ

ბ-ის სვიამნ ნიავლოზისძეს წერეთელს.

მრთიპების და სსჯა საისტორიო მსასვების შეგროვებისათვის ჩვენს შემწეობა ვითხოვთ ნდნობა და უცნობ პირთაგან. ზოგაერთინა ჰეტეკეკულანს გაგანს, სხორად მოაწეების ხელით, გავგზავნადენ ძველ ხელ-საწერებს და გუჟრებს ნათხოვრობით და ანა წერაკითხვის საზოგადოებისა* გადსაცემდე. უმეტესი სწავიდა ჩვენგან ნათხოვრობათ (და ანა სავუთრებად) მალეხულას ნიკიებისა დიდა სწინა დაინარქეს ჰეტრონებს.

თ. ჟორდანი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა